



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 740
17/04/2018

ქალაქი ბათუმი

740-05-4-201804171231



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი განთიადი ქუჩა მე-17, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის N7 მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ცისარტყელა“ს საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №36 დადგენილების, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის“ დამტკიცების შესახებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აპრილის №15 დადგენილების მე-10 მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის მეორე პუნქტისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ცისარტყელას“-ს თავმჯდომარეს ქალბატონ ნარგული დევადის 2018 წლის 20 მარტის N4551/05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადი ქუჩა მე-17, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი N7 მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ცისარტყელას“ მიერ წარმოდგენილი პროექტი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ.ნაკაშიძე) და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურმა (მ.ბახტაძე) განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

